ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4341721

ნომერი: AR1652868

თარიღი : 28.12.2018

გაცემის თარიღი : 18.01.2019

გაცნობის თარიღი : 21.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N15 ; ქალაქი თბილისი , კერესელიძის I შესახვევი , N 12 , (ყოფილი დიდუბის I შესახვევი N6) ; ქალაქი თბილისი , ა. წერეთლის გამზირი , N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსი ბუზოღლი პ/ნ 01030005125
- თბილისი მ.გოგიბერიძის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28

დეკემბერს №AR1652868 განცხადებით მომართა ალექსი ბუზოღლიმ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 მარტის №1138464 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N15-ში, ქალაქი თბილისში, კერესელიძის I შესახვევი, N 12 (ყოფილი დიდუბის I შესახვევიN6) ; ქალაქი თბილისში, ა. წერეთლის გამზირი, N 56; არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.05.011.020, ფართობი: 19914 კვ.მ) მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2017 წლის 03 იანვრის №3022885 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 11.03.2014 წ. №1138464 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაემატა ახალი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა და დახურული ავტოსადგომი.
სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 მარტის №1138464 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა საკადასტრო კოდი: N 01.13.05.011.023 ფართობი: 20214 კვ.მ, (რეგისტრაციის ნომერი: N 902018013303, თარიღი: 19/11/2018) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი: 892018284410, მომზადების თარიღი: 04/04/2018.).
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა და აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრძანებიდან ამოღებულ უნდა იქნას მე-3 პუნქტი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებაში და ამოღებულ იქნას მე-3 პუნქტში არსებული ჩანაწერი, კერძოდ, ,,ახალი მრავალფუნქციური შენობა განთავსდეს მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) ის ფარგლებში დანართის შესაბამისად''.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 დეკემბრის №4319269 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.